

წარმოგიდგენთ მიმდინარე წლის ათ თვეში გაწეული მუშაობის შედეგებს.

ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახური

ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო რეფორმის დანერგვის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება ელექტრონული სისტემის გამოყენებას, მით უფრო მერიაში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მოქმედებას.

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDokument) - მოქმედებდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 10 ივნისამდე. სისტემაში ჩართული იყო 84 თანამშრომელი.

MMS სისტემა მოქმედებდა 2019 წლის 19 თებერვლიდან 2021 წლის 10 ივნისამდე და ჩართული იყო 21 თანამშრომელი.

2021 წლის 10 ივნისიდან ვანის მუნიციპალიტეტის მერია გადავიდა ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისწარმოების ავტომატიზირებულ ელექტრონულ სისტემაზე (MSD) აღნიშნულ სისტემაში ჩართულია მერიის 21 ადმინისტრაციული ერთეული, ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“, ა(ა)იპ „ვანის კომუნალური გაერთიანება“, ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“ და ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“. აღნიშნულ სისტემაში დარეგისტრირებულია სულ 176 თანამშრომელი

ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურით გათვალისწინებულია 71 სამტატო ერთეული, შესაბამისად დასაქმებულია 71 თანამშრომელი. შრომითი ხელშეკრულებით კი აყვანილია 15, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მერის 21 წარმომადგენელი.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში სამტატო ნუსხით გათვალისწინებული 20 თანამშრომლიდან ოცივე დასაქმებულია.

სამსახური აერთიანებს 5 განყოფილებას.

მერიაში ასევე ფუნქციონირებს 9 ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული და 9 ა(ა)იპ-ი.

2021 წელს ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 63 განცხადება, დაკმაყოფილდა ყველა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში მოსამსახურეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინარული სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სულ 6852 კორესპონდენცია, მათ შორის მთავრობის განკარგულება და დადგენილება 72, შემოვიდა 2394 მოქალაქეთა განცხადება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, დაკმაყოფილდა 2090. გამოცემულია მერის სამართლებრივი აქტი 650.

კოორდინაციის განყოფილების მიერ სისტემატურად გროვდება ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული პრობლემების შესახებ, ეს შეეხება ხელმოკლე ოჯახებს, სტიქიით დაზარალებულებს, ავადმყოფებს, ომის ვეტერანებს, ინვალიდებს, მრავალშვილიანებს დევნილებს. მერიაში კეთდება ანალიზი მათზე დახმარების მიზნით.

მერის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრები იმართება მერიაში ყოველ კვირაში.

დასრულდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ყველა დასახლებულ პუნქტში (გარდა ქალაქისა) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განხილვა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N 2752 განკარგულების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ყველა დასახლებული სოფლისთვის გამოყოფილი თანხა 570000 ლარი უნდა იქნას გამოყენებული იმ პრიორიტეტების მიხედვით, რასაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გადაწყვეტს. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები პერიოდულად ხვდებიან მოსახლეობას, უსმენენ და რეაგირებენ დასმულ საკითხებზე. 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 27 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერის N20 43 ბრძანებით და განისაზღვრა 5 509 828 ლარით. 2021 წლის განმავლობაში გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2021 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 9 098 177 ლარი.

2021 წლის ათი თვის მანძილზე მერიის მიერ გამოცხადებული იყო 70 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 24, შეწყდა 4, გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 42 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 8 485 055 ლარი.

გამარტივებული შესყიდვების წესით გაფორმდა 97 ხელშეკრულება.

მათ შორის; მონეტარული ზღვრების დაცვით საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე 76 ხელშეკრულება, ღირებულებით 84 601,56 ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 9 ხელშეკრულება ღირებულებით 123 256, 21 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 14 ხელშეკრულება.

სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე 165 751, 96 ლარი;

საბეჭდი ქაღალდის შესყიდვაზე 5 205 ლარი;

ავტომანქანების საბურავების 4 760 ლარი;

სამედიცინო მასალები (სითხეები და პირბადეები) 2 268,90 ლარი;

სატელეფონო მომსახურების 19 600 ლარი;

სატრანსპორტო საშუალებების ნომრის ამომცნობი სათვალთვალო კამერები 5 808 ლარი;

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის ყუთები 48 800 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნებართვის საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 10 ხელშეკრულება ღირებულებით 105 816, 80 ლარი.

2020 წლის სექტემბრის თვეში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში შეიქმნა მეორადი სტრუქტურული ერთეული - ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე მიმდინარე წლის ათ თვეში, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში შემოწმდა და შესაბამისი სკრინინგის ფორმები შეივსო თერთმეტ ოჯახზე (ბენეფიციარზე, რიმელთაც ჭირდებათ ფინანსური და სხვა მატერიალური დახმარება. განყოფილების მიერ დახმარება გაეწია სასურსათო პროდუქტებითა და მედიკამენტებით სიდუხჭირეში მყოფ მცირეწლოვან ბავშვიან ოჯახებს.

შედგენილია პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას. მომავალი წლის ბიუჯეტი დახმარების მეტ შესაძლებლობას მოგვცემს.

და რაც მნიშვნელოვანია, საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია მერიის სამსახურების მიერ გაწეული სამუშაოს, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა კულტურული თუ ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის და მერის ოფიციალურ ვებგვერდების, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებგვერდის "vani.gov.ge"-ის საშუალებით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინტერნეტ საინფორმაციო სააგენტოებთან - "topnews.com.ge" და "guardian".

საკრებულოსთან ურთიერთობის სფერო

გასული წლის საანგარიშო 10 თვეში საკრებულოს წარედგინა ანგარიშები, წერილები და დადგენილებების პროექტები მტკიცებისათვის.

კერძოდ:

ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ანგარიში სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ;

ანგარიშები 2021 წლის სამივე კვარტლის მიხედვით ბიუჯეტის შერულების მიმდინარეობის თაობაზე.

ასევე საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტები.

ინფორმაცია, ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დახარჯული თანხების შესახებ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინებოდა კვარტალში ერთხელ.

საბიუჯეტო-საფინანსო სამსახური

ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 28 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N28 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 7600,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 700,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსულობები დაზუსტდა 15731,5 ათასი ლარის, გადასახდელები 16998,2 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1266,7 ათასი ლარის მოცულობით.

შემოსულობების წლიური გეგმა 15731,5 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში, საანგარიშო პერიოდში, მიღებულია 12275,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 78,0%-ს შეადგენს. მათ შორის:

* გადასახადების 2021 წლის საპროგნოზო მოცულობა 6652,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 6005,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 90,3%.

* მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2021 წლის გეგმა 8441,5 ათას ლარს შეადგენდა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 4592,9 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 54,4%-ით შესრულდა.

* სხვა შემოსავლების 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 487,2 ათას ლარს, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 342,1 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 70,2%.

* არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსულობებმა 52,2 ათასი ლარი შეადგინა, წლიური გეგმის- 100,0 ათასი ლარის 34,8%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გეგმა შეადგენდა 16998,2 ათას ლარს. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 11234,6 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის 66,1%-ია.

* შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა 1491,3 ათასი ლარი, წლიური გეგმის 1815,0 ათასი ლარის 82,2%.

* საქონლისა და მომსახურების მუხლით მიიმართა 990,7 ათასი ლარი, გეგმის 1333,9 ათასი ლარის 74,3%.

* პროცენტის მუხლში ასიგნებების გეგმიური და ფაქტობრივი მაჩვენებელი 28,8 ათასი ლარია.

* სუბსიდიების გეგმიური ასიგნებების მოცულობა შეადგენდა 3714,4 ათას ლარს, საკასო შესრულება შეადგენს 3032,5 ათას ლარს, გეგმა 81,6%-ით შესრულდა.

* გრანტების მუხლით მიიმართა 7,3 ათასი ლარი, რაცწლიური გეგმის 100,0%-ია.

* სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გამოყოფილი იყო 665,0 ათასი ლარი, ფაქტობრივად დაიხარჯა 542,5 ათასი ლარი, გეგმის 81,6%.

* სხვა ხარჯებზე გეგმით მიიმართა 124,8 ათასი ლარი,, ხოლო ფაქტობრივად 114,6 ათასი ლარი, გეგმის 91,8%.

* არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განსაზღვრული იყო 9254,8 ათასი ლარით, საკასო შესრულება 4971,5 ათასი ლარი, გეგმის 53,7%.

ვალდებულებების მუხლში ასიგნებების გეგმიური და ფაქტობრივი მაჩვენებელი 55,6 ათასი ლარია.

ბიუჯეტის შესრულება პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯებზე წლიური ბიუჯეტით 2729,2 ათასი ლარი მიიმართა. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება 2265,1 ათას ლარს შეადგენს, რაც საანგარიშო პერიოდში გეგმის 83,0%-ია.

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დაფინანსებაზე წლიური ბიუჯეტით 9327,4 ათასი ლარი მიიმართა. 2021 წლის საკასო შესრულება 5143,3 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 55,1%-ია.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით 2021 წლის ბიუჯეტში 563,8 ათასი ლარი გამოიყო. საკასო შესრულებაა 476,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 84,5%.

განათლების სფეროს ასიგნებების 2021 წლის მოცულობა 2066,7 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. საკასო შესრულება 1439,2 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 69,6%-ს.

კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული და რელიგიის სფეროს ასიგნებების 2021 წლის გეგმა 1517,4 ათასი ლარით განისაზღვრა. დაფინანსების საკასო შესრულება 1254,2 ათას ლარს უტოლდება, წლიური გეგმის 82,3%-ს.

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით 2021 წლის ბიუჯეტში 793,7 ათასი ლარი გამოიყო. საკასო შესრულებაა 656,1 ათასი ლარი, წლიური გეგმის 82,7%.

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვა

ეკონომიკის დამუნიციპალური ქონების მართვის სამსახურმა მიმდინარე წელს პრივატიზებაზე დააყენა 15 ერთეული მუნიციპალური ქონება. აქედან:

- 5 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, პრივატიზებიდან ჯამში შემოვიდა 9750 ლარი;
- 1 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, პრივატიზებიდან შემოვიდა 1850 ლარი;
- 1 ერთეული სპეც. ტექნიკა, პრივატიზებიდან შემოვიდა 22000 ლარი;
- 4 ერთეული დაზგა-დანადგარი პრივატიზებიდან ჯამში შემოვიდა 10800 ლარი;
- 3 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, პრივატიზებისგან ჯამში შემოვიდა 140100 ლარი.;

სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაიცა 1 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, წლიური საიჯარო ქირის ღირებულება განისაზღვრა 400 ლარის ოდენობით.

სულ მიმდინარე წელს ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების განკარგვით მიიღო 184900 ლარი.

„ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამაში“ მონაწილეობის შედეგად, სამსახურმა მოამზადა 11 საგრანტო-საპროექტო განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მიზნით და გაიმარჯვა თერთმეტივე პროექტმა.

- ტურიზმის განვითარების მიზნით მშვიდობის გორაზე გ.ყიფიანის სახელობის ტყე-პარკის რეაბილიტაცია (758730 ლარი).

- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით:

ყოფილი სატყეოს ტერიტორიაზე, სკვერისა და მასზე განთავსებული შენობის რეაბილიტაცია (1 644 444 ლარი);

დიხაშხოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (422 764).

- ადგილობრივი ბიზნესის განვითარების მიზნით:
- ზედა ვანში ტოხვაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია (335073 ლარი);
სალხინოში, საოჯახო სასტუმროსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (212275 ლარი);
ფერეთაში ტურისტულ ზონასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (255 113 ლარი);
ზეინდარი შუაგორა-ფერეთას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (279 120 ლარი);
შუამთაში, შუამთა-ქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (492602 ლარი);
ყუმურში, ყუმური-დუცხუნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (284700 ლარი);
ძულუხში, კონიების საუბნო გზის რეაბილიტაცია (233 862 ლარი);
მუქედში, ნანობაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია (297088 ლარი).

ჯამში აღნიშნული პროექტები ფინანსდება 5 215 771 ლარი.

სივრცითი მოწყობა, ინფრასტრუქტურა და არქიტექტურა

ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წლის ათი თვის განმავლობაში ინფრასტრუქტურის მოვლა განახლებისათვის სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებულია 145 პროექტი, საერთო ღირებულებით 13 722 051 ლარი. პროექტები დაფინანსებისა და კატეგორიების მიხედვით დაჯგუფდა 8 პროგრამად. კერძოდ:

1. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსდა 12 პროექტი, 31 ლოკაცია. სამუშაოთა განხორციელებისთვის გამოყოფილია 5 351 714 ლარი. დასრულებულია 7 პროექტი, ანაზღაურებულია 3 847 947 ლარი.
2. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამით (რგპვ) დაფინანსდა 2 პროექტი, უნდა განხორციელდეს 335 000 ლარის სამუშაოები, რომლებიც მიმდინარეობს.
3. 2020 წლიდან გადმოსულია (რგპვ-დან დაფინანსებული) 1 პროექტი ღირებულებით 70 091 ლარი. პროექტი დასრულებულია, ანაზღაურებულია 68 226 ლარის სამუშაოები.
4. საგანმანათლებლო სისტემის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 4 საჯარო სკოლა. ძირითადად განხორციელდა სველი წერტილებისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია და მოწყობა. საერთო ღირებულებით 58 000 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.
5. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოსახლეობაზე მინიჭებული უფლების მიხედვით მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეული პროექტები დაჯგუფდა და გაერთიანდა 107 პროექტში. რგპვ-ის ფონდის მიერ პროგრამა დაფინანსდა 570 000 ლარით. თანადაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 29 347 ლარი. სამუშაოებზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებისათვის გადარიცხულია 117 863 ლარი.
6. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია გარდამავალი 2021-2022 წლებში განსახორციელებელი 11 პროექტი, გამოყოფილია 5 260 686 ლარი. აქედან 2021 წლის 1 718 900 ლარი, 2022 წლის 3 541 786 ლარი. სამუშაოები მიმდინარეობს.
7. ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა 4 პროექტი, საერთო ღირებულებით 448 994 ლარი. დასრულებულია 51 პროექტი.
8. სხვადასხვა ფონდების და უწყებების მიერ (მგვ, გზების დეპარტამენტი, გაერთიანებული წყალმომარაგება, სამინისტროები, დონორი, კერძო სეგმენტი და სხვა) 4 პროექტის დაფინანსებაზე გამოყოფილი იქნა 5 140 005 ლარი. მათ შორის: საგზაო დეპარტამენტი 1 257 103 ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი 2 427 902 ლარი, განათლების სამინისტრო 1 455 000 ლარი.
9. განახლებული რეგიონების ფარგლებში მიმდინარეობს თამარ მეფის და თავისუფლების ქუჩების სრული რეაბილიტაცია, პროექტი გარდამავალია და გაგრძელდება მომავალ წლებში, რომელიც შემდგომ ეტაპებზე მოიცავს ქალაქის სხვა ქუჩებს.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად სამსახური მუშაობს მერიის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული სხვადასხვა პროგრამების მიხედვით შემოსული განცხადებების მომსახურებაზე:

1. საანგარიშო პერიოდში დაზიანებული საცხოვრებელი სახლის თაობაზე სამსახურმა შეისწავლა მოქალაქეთა 95 განცხადება. აქედან: ფინანსური დახმარება გაეწია 18 ოჯახს თანხით 33 500 ლარი, 5 ოჯახს მიენიჭა სათანადო კატეგორია და შუამდგომლობა გაეწია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროში, გეოლოგიურ შესწავლაზე ჩაინიშნა და შესწავლილი იქნა 36 ოჯახი.
2. საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო მშენებლობის განხორციელებისათვის მომზადდა და შესაბამისი წესის მიხედვით გაიცა 4 თანხმობის წერილი და 22 სანებართვო მოწმობა.

ზედამხედველობა

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობას. დასრულდა 2020 წელს დაწყებული გარდამავალი პროექტები.

კერძოდ:

1. ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (ტაბიძის ქუჩა-ახალი დასახლება,სოლომონ მეორეს ქუჩა, გაღმა ვანი-დიასამიძე- ნაფეტვარიძის ქუჩა) საერთო ღირებულებით 988 888 ლარი. ამ ქუჩებზე მოხდა შესახვევების, ჩიხების და ყველა სამანქანო შესასვლელის კეთილმოწყობა.
2. წარმატებით დასრულდა სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სალხინო-ზენობნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) თანხით 542 546 ლარი. პროექტის საერთო ღირებულება იყო 622 546 ლარი.
3. ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ზედა ვანი-ტყელვანის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი არ იყო გარდამავალი. მშენებლის მიზეზით ვერ მოხერხდა მისი დასრულება განსაზღვრულ ვადებში, მასზე გატარებულია შესაბამისი სანქციები. პროექტი დასრულდა მიმდინარე წელს სხვა მშენებლის,-შ.პ.ს. „ჭომა გზის“ მიერ.
4. მიმდინარეობს და დასრულების სტადიაშია ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია თანხით 740 000 ლარი. (პროექტით განსაზღვრული იყო 4 ლოკაცია: კოპიტნარის უბანი, ლიფნარის უბანი, მამასახლისები-ცინცაძეების უბანი და მალლაკელიძეები-ჭელიძეები-ცინცაძეების უბანი). ამჟამად პრაქტიკულად დასრულებულია 3 ლოკაცია, დარჩენილია მალლაკელიძეები-ჭელიძეები-ცინცაძეების უბანში საავტომობილო გზის შავი საფარით მოწყობა.
5. დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში (ნაწილობრივ სალხინოს ტერიტორიაზე), 2 ლოკაციაზე (შენგელიების უბნის გავლით და ისრითის სტადიონიდან კაპატაძეები-საღრიშვილების უბნის მიმართულებით) მიმდინარეობს შიდა საუბნო-საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. პრაქტიკულად დასრულებულია ისრითის სტადიონიდან კაპატაძეები-საღრიშვილების უბნის მიმართულება, ხოლო მოწყობილია საფუძველი და შავი საფარია დასაგები შენგელიების უბანში.

6. ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (თამარ მეფის 1 შესახვევი, რუსთაველის ქუჩის მე-3-ე შესახვევი, ბაგრატის ქუჩის 1 შესახვევი). დასრულებულია თამარ მეფის ქუჩის პირველი შესახვევი და ბაგრატის ქუჩის პირველი შესახვევი. 2-3 დრეში დასრულდება რუსთაველის ქუჩის მე-3-მე შესახვევი. საერთო ღირებულება 319646 ლარი.
7. ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში 6 ლოკაციაზე (საბავშვო ბაღის, ავალიანების, თვალავაძეების, აბანოს N1 და N2, კორძაძეების უბნები) მიმდინარეობს შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. მოწყობილია გზების საფუძვლები, დასაგებია შავი საფარი. სამუშაოს შესრულების ღირებულება განსაზღვრულია 431 354 ლარით.

წარმატებით მიმდინარეობს და დასრულების სტადიაშია 2021 წლის პროექტები:

1. ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში- შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (ზედა-ეწერტობანიერი კაცაძეების, მეფარიშვილების, მინაშვილი-ჯულაყიძეების, მაჭუტაძეების უბნები, კუშუბოური) თანხით 600 550 ლარი.
2. სრულდება ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო-საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი (მალლაკელიძეები-ჭელიძეები-ცინცაძეების უბნები) ღირებულებით 300 457 ლარი.
3. დასრულდა ქალაქ ვანში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (ტაბიძის ქუჩის შესახვევები, წმინდა ნინოს შესახვევები) ღირებულებით 350 623 ლარი.
4. დასრულდა სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სანიკიანების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით 508 698 ლარი.
5. მიმდინარეობს ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო-საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (ბზვანი და ბზვანი- ზედა ბზვანის დამაკავშირებელი გზა), ღირებულებით 347 700 ლარი.
6. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია გარდამავალი 2021-2022 წლებში განსახორციელებელი 11 პროექტი. გამოყოფილია თანხა 5 260 686 ლარი. აქედან: 2021 წლისათვის- 1 718 900 ლარი, 2022 წლის კი 3 541 786 ლარი. პროექტების განხორციელება მიმდინარეობს.
7. განახლებული რეგიონების პროექტით, რომელიც გულისხმობს ქალაქის ცენტრალური ნაწილისა და შემოსასვლელების კეთილმოწყობას სავარაუდოდ გათვალისწინებულია 5-დან 6 მილიონამდე ლარი. პროექტი გარდამავალია და გაგრძელდება წლების განმავლობაში.

სოფლის პროგრამით წარმოდგენილია სხვადასხვა სოფლის 47 პროექტი. ჯამური თანხა შეადგენს 516 212 ლარს. სულ პროგრამით გათვალისწინებულია 570 000 ლარის სამუშაოები.

ჯამრთელობის დაცვა და სოციალური საკითხები

ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წლისათვის დამტკიცებულია 14 სოციალური პროგრამა. ბიუჯეტით გამოყოფილია 705600 ლარი. დამტკიცებული პროგრამებით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის 36 ბრძანება.

საბიუჯეტო სახსრები პროგრამების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა - ბიუჯეტი-80000 ლარი. საანგარიშო პერიოდისათვის გახარჯულია 65540 ლარი, დაკმაყოფილებულია 178 ბენეფიციარი.
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - ბიუჯეტი - 27500 ლარი, გაცემულია 26800 ლარი, დაკმაყოფილებულია 66 ბენეფიციარი.
3. სამედიცინო დახმარების პროგრამა - ბიუჯეტი 300000 ლარი. საანგარიშო პერიოდში დაკმაყოფილებულია 587 ბენეფიციარი, გაცემულია 226563,41 ლარი.
4. დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამა - ბიუჯეტი - 55000 ლარი გახარჯულია 46400 ლარი, პროგრამით სარგებლობს 23 ბენეფიციარი.
5. შ.შ.მ. პირთა დახმარების პროგრამა - ბიუჯეტი 72000 ლარი, დაკმაყოფილებულია 244 ბენეფიციარი, თანხით 70900 ლარი.
6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - ბიუჯეტი 40000 ლარი. უფასო სასადილოთი სარგებლობს 40 ბენეფიციარი. პროგრამის ფარგლებში სააღდგომოდ საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია 50 ბენეფიციარს. გახარჯულია 28901 ლარი.
7. სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა, - ბიუჯეტი 33500 ლარი, გაცემულია 33500 ლარი, დაკმაყოფილებულია 23 ბენეფიციარი.
8. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა, - ბიუჯეტი 7000 ლარი, დაკმაყოფილებულია 5 ბენეფიციარი, თანხით 5000 ლარი.
9. ვეტერანთა დახმარების პროგრამა, - ბიუჯეტი - 13000 ლარი. გაცემულია 12000 ლარი, დაკმაყოფილდა 32 ბენეფიციარი.
10. მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა, - ბიუჯეტი - 23000 ლარი. დაკმაყოფილებულია 96 ბენეფიციარი, თანხით 19550 ლარი.
11. სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარების პროგრამა, - ბიუჯეტი - 20000 ლარი გახარჯულია 18500 ლარი, დაკმაყოფილებულია 37 ბენეფიციარი.
12. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა, - ბიუჯეტი 2000 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას 200 ლარის ოდენობით. გაცემულია 400 ლარი, დაკმაყოფილდა 2 ბენეფიციარი.
13. უსახლკაროთა დახმარების პროგრამა, - ბიუჯეტი - 5000 ლარი, გახარჯულია 3340 ლარი. უსახლკაროთა სტატუსი მიენიჭა 6 პირს, (4 ოჯახს).
14. სარიტუალო დახმარების პროგრამა, - ბიუჯეტი - 22000 ლარი. გახარჯულია 14000 ლარი, დაკმაყოფილდა 47 ბენეფიციარი.
15. სხვა სოციალური ღონისძიებების ფარგლებში, კომუნალური გადასახადების თანადაფინანსების მიზნით, ფინანსდება შ.შ.მ. ბავშვთა დღის ცენტრი „ნათელი მომავალი“ (9 ბენეფიციარი). ბიუჯეტი შეადგენს 5000 ლარს, გახარჯულია 4200 ლარი.

სულ საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 1392 ბენეფიციარს, მათზე გაცემულია 573 923 41ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ვანის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 19 სამედიცინო დაწესებულება. მათ შორის: 1 სტაციონარულ-პოლიკლინიკური გაერთიანება -ჯეოჰოსპიტალსი-ვანი, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახური 112, შ.პ.ს. „ფარმაცია-ვანი“ -დიაგნოსტიკური ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ცენტრი და 17 ამბულატორია (17 სოფლის ექიმი და 18 სოფლის ექთანნი).

აღნიშნულ დაწესებულებებში, ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება 8 სახელმწიფო პროგრამა. მისი 2021 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 92000,0 ლარს.

საანგარიშო პერიოდისათვის გახარჯულია 72007,0 ლარს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მონაწილეობს ასევე სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში, რომლის ფარგლებში მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 18605.0 ლარი. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია 12 სახის ინფექციური დაავადების შემთხვევა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს აცრები.

რაც შეეხება ახალი ტიპის კორონავირუსს, მუნიციპალიტეტში 2021 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით სულ რეგისტრირებულია 2780 დადასტურებული შემთხვევა, გარდაიცვალა 17. საანგარიშო პერიოდში კორონავირუსზე ტესტირება ჩატარდა 16758 პიროვნებას.

საანგარიშო პერიოდში ანტირაბიულ კაბინეტს დახმარებისთვის მიმართა 257-მა დაზარალებულმა. გაიხარჯა 1085 დოზა ანტირაბიული ვაქცინა.

კულტურა - სპორტი

მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით ორგანიზება გაუკეთა და განახორციელა სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

გაიმართა პროექტის „გაიცანი შენი კუთხე“ პრეზენტაცია, საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეების მონაწილეობით, რომლის მიზანია საზოგადოების ინფორმირება, სხვადასხვა მიმართულებით, ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებზე.

საჯარო სკოლების მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის დიმიტრი ნაზარაშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგი, აქტიურობით გამორჩეული ახალგაზრდები სწავლა-ტრენინგის მეორე ეტაპს გააგრძელებენ თურქეთში.

სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნურ კროსსა და ჭადრაკში. ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით კი ფრენბურთსა და ჭადრაკში გამარჯვებულებს გადაეცა თასები და მედლები.

ასევე ჩატადა ვეტერანი ფეხბურთელის ჯიმშერ ვერულაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, პირველ და მეორე ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები. ქალაქ ქუთაისში გამართულ ბეჭდაუდებელი ფალავნის კოლია ქვარიანის ტურნირში (ქართული ჭიდაობა) მონაწილეობა მიიღო სამმა სპორტსმენმა, ორმა მესამე ადგილი დაიკავა.

მუნიციპალიტეტის ორგანიზებით კულტურის ცენტრში, რუსთაველისა და თელავის თეატრის მსახიობების მონაწილეობით, გაიმართა სპექტაკლი „როცა ძალიან მოგენატრები“.

ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ვანელობა“, პანდემიის გამო, მასშტაბურად არ ჩატარებულა.

კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის ბიუჯეტი მიმდინარე წელს შეადგენს 420 000 ლარს, 10 თვის მანძილზე გახარჯულია 358,169 ლარი.

ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გამო მასიური ღონისძიებების მომზადება და ჩატარება დაგეგმილის სახით ვერ მოხერხდა. გამონაკლისს წარმოადგენს თეატრალურ ფესტივალში „თეატრალური იმერეთი“ მონაწილეობის მიღება. წარდგენილი იქნა სპექტაკლი „გოდოს მოლოდინი“, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ასევე რეგულაციების გათვალისწინებით აღინიშნა შემდეგი ღონისძიებები:

დედის დღე, ტიცინობა, ეროვნული ერთიანობის დღე (9 აპრილი), დედა ენის დღე, ლევან გერსამიას 100 წლის იუბილე, 26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა გახსენება.

საინტერესო, შემეცნებითი მნიშვნელობის ღონისძიებები ჩატარდა ბიბლიოთეკების ინიციატივით. აღინიშნა წიგნის საჯაროდ კითხვის დღე, ტიცინის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო ლიტერატურული საღამო, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ერთი დღით ბიბლიოთეკამ უმასპინძლა NI საჯარო სკოლის მოსწავლეებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინიციატივით გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მუსიკალურ-თემატური საღამო.

სამუსიკო სკოლის ინიციატივით ჩატარდა მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტი.

შემოქმედებითად მუშაობს ვანის ისტორიის, ეტნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი, მის მიერ გამოშვებული იქნა ჟურნალ „მატიანეს“ 3 ნომერი.

მნიშვნელოვანი ფაქტი იყო უნივერსიტეტის 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ერთ-ერთი დამაარსებლის, - კორნელ კეკელიძის სახლ-მუზეუმში კინო გადაღება, რომელიც თებერვალში პირველი არხის ეთერში გავიდა.

საფეხბურთო კლუბი „ვანი-სულორი“

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ვანი-სულორის“ ბიუჯეტი ფინანსდება როგორც ვანის მუნიციპალიტეტიდან, ასევე ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან. მუნიციპალიტეტიდან კლუბი დაფინანსდა 210 000 ლარით, განვითარების ფონდიდან კი 50000 ლარით.

მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დაფინანსებიდან, საანგარიშო პერიოდში, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 168778 ლარი, რაც დაფინანსების 80,4%-ია. ზაფხულის შემდეგ შეწყდა ბავშვთა ჩემპიონატი (2 გუნდი), რომელიც დღემდე არ გაგრძელებულა. ამით ბიუჯეტის ხარჯი შემცირდა 6 000 ლარამდე.

ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხიდან ხარჯი შეადგენს 33540 ლარს, ათი თვის მდგომარეობით ასათვისებელი დარჩა 16460 ლარი, აქედან, სეზონის ბოლოს ფედერაციაში გადასარიცხია 7 000 ლარი. მთავარი გუნდის თამაშები, მიუხედავად პატარ-პატარა პრობლემებისა, არ შეწყვეტილა. გუნდი ასპარეზობს მეოთხე ლიგის ჩემპიონატში, რომელიც შეუფერხებლად მიმდინარეობს და იგი დასრულდება მიმდინარე წლის 22 ნოემბერს.

საფეხბურთო კლუბ „ვანი-სულორის“ მიერ მიღწეული წარმატებების გამო, მომავალი წლისათვის, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გუნდი დაფინანსდება 150 000 ლარით.

სარაგბო კლუბი „აიეტი“

სარაგბო კლუბის „აიეტის“ ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 160000 ლარით, 10 თვის ხარჯები შედგენს 138 054 ლარს.

გუნდმა მონაწილეობა მიიღო 2020-2021 წლის რეგიონალური მეორე ლიგის ჩემპიონატში, მონაწილე 10 გუნდიდან მესამე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება ჭაბუკთა „ბ“ ლიგასა და საფესტივალო გუნდებს, პანდემიის გამო, მონაწილეობა ვერ მიიღეს ზამთრისა და საგაზაფხულო ჩემპიონატებში.

2021-2022 ჩემპიონატისათვის მზადება დაიწყო ივნისის თვეში. 15 სექტემბერს დაიწყო ჩემპიონატი, რომელიც დასრულდება 20 ნოემბერს. საანგარიშო პერიოდისათვის დარჩენილია პირველი წრის 3 ტური, შესრულებული ხუთი თამაშიდან გუნდი მეოთხე ადგილზეა. რაც შეეხება ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდს ხუთი თამაშიდან მეექვსე ადგილზეა, დარჩენილი აქვს პირველი წრის ოთხი თამაში. ორივე გუნდში მეორე წრე გაგრძელდება 2022 წლის 10 თებერვალს. პანდემიის გამო საფესტივალო ჯგუფები ჩემპიონატში ვერ ღებულობს მონაწილეობას.

მიმდინარე პერიოდისათვის რეგიონალურ მეორე ლიგაში ირიცხება 42 მორაგბე, ხოლო ჭაბუკთა ლიგაში კი 34.

ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

განსაკუთრებული წარმატებებით ხასიათდება მძლეოსანთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა: საქართველოს ღია პირველობაზე, აფხაზეთის ღია პირველობაზე, საქართველოს ღია ეროვნულ ჩემპიონატზე, ახალციხის ღია პირველობაზე. მოასპარეზე გუნდებმა და ინდივიდუალურმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თამთა ღვინიანიძე საუკეთესო მოასპარეზე სპორტსმენად დასახელდა სიგრძეში ხტომაში, მილწეული შედეგიდან გამომდინარე ივნისში იგი გაემგზავრება კვიპროსში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე.

აქტიურობით გამოირჩევიან ქართულ ჭიდაობაში მოასპარეზე სპორტსმენები, მათ მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ხაშურში გამართულ ოთარ შერაზადაშვილის და გოჩა გაგნიძის სახელობის ტურნირში, ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ახალგაზრდებს შორის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის მიშკო აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა „სამბოში“. ორივე შემთხვევაში საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ქალაქ ქუთაისში სატურნირო შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო მოჭადრაკე ვასიკო შაპოვალოვმა. სარეიტინგო ქულებიდან გამომდინარე იგი მიემგზავრება ნოემბრის თვეში თურქეთში.

საბავშვო ბაღების გაერთიანება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 600-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

გაერთიანების 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1, 600, 000 ლარს, ათი თვის მანძილზე გახარჯულია 1,274,886 ლარი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარე წელში შეფერხებებით მიმდინარეობდა, რაც გამოიწვია გართულებულმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ. წლის მეორე ნახევარში საბავშვო ბაღებმა მუშაობა განაახლა 2021 წლის 4 ოქტომბერს, რაც 12 ოქტომბერს კვლავ შეჩერდა. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განახლება იგეგმება 1 ნოემბრიდან.

ყველა საბავშვო ბაღი აღჭურვილია დეზობარიერებით, მოწყობილია შესასვლელი, სადაც ექთანი ახდენს [პროფილაქტიკურ სამედიცინო სამუშაოებს.

საბავშვო ბაღები მომარაგებულია ერთჯერადი ხალათებით, ხელთათმანებით, პირბადეებით, დამცავი ფარებით და სადეზინფექციო ხსნარებით. მოწყობილია გამოცალკავებულად საიზოლაციო ოთახი. თანამშრომლებს ყოველ კვირაში ჩატარდება ვირუსზე კვლევები, რაც პანდემიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი წინაპირობაა.

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრი“

“ვანის ტურიზმის ცენტრის“ მიერ 2021 წლის სამუშაო პროგრამა პანდემიის „კოვიდ 19-ის“ შესაბამისად გათვალისწინებული რეგულაციების მიხედვით დაიგეგმა.

ძირითადად განსაზღვრული იყო:

მაღალი ცნობადობისა და გამორჩეული აქტივობის მქონე ტურისტული ლოკაციებიდან სიახლეების უწყვეტი გავრცელება ტურისტული შინაარსის სიუჟეტების მომ

ინგლისურ და ქართულ ენებზე ფოტო და ვიდეო რგოლების გავრცელება, მესიჯ-ბოქსებით ავტორიტეტულ ვებგვერდებთან და სოციალურ ქსელებთან თანამშრომლობა, რაც საფუძველია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისა და როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტების მოზიდვისათვის.

დაიგეგმა პოპულარულ ბლოგერებთან, გიდებთან, ტურ-ოპერატორებთან და სხვებთან თანამშრომლობა.

კონფერენციებში მონაწილეობა.

ახალი ტურისტული პროდუქტების აღმოჩენა და პოპულარიზაცია,

აგრო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისად მეწარმეთა მხარდაჭერა შესაძლებლობის ფარგლებში.

აღსანიშნავი ფაქტია, ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ მჭიდრო თანამშრომლობით ვანის ტურიზმის ცენტრთან დამუშავდა ვანის ელექტრონული ტურისტული მარშრუტები და შეიქმნა აპლიკაციები, მაღალი ხარისხის ფოტო თუ ვიდეო მასალით, რომელიც მიეწოდა ვანის ტურისტული ცენტრის ფოტო არქივიდან. ტურისტებში აქტიურად ვრცელდება „OMO იმერეთის“ მიერ დაბეჭდილი ბრენდირებული პოლიგრაფია (ტურისტული ბროშურები). ტურიზმის ცენტრის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია online კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, რაც წარმატებით ხორციელდება და ხელს უწყობს თანამშრომელთა უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და დახვეწას.

ასევე გაწეული მუშაობის შედეგი და პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად იზრდება პოპულარულ ტურ-ოპერატორებთან, ბლოგერებთან, ინფლუენსერებთან, იუთუბერებთან, ფოტო ხელოვანებთან და ტელევიზიებთან თანამშრომლობით. ვანის ტურისტული პოტენციალის პროპაგანდისათვის მნიშვნელოვანი ფაქტია კოპიტნარში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის არსებობა. საქართველოს ავიაბაზარზე ახლად გამოჩენილმა დაბალბიუჯეტის ავიაკომპანიამ საშუალება მისცა „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციას“ მოეწვია ყაზახი ტურ-ოპერატორები და ბლოგერები იმერეთის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების გათვალისწინებით ინფო-ტურის მოსაწყობად. ყაზახური ინფო-ტური ესტუმრა ვანის განახლებულ არქეოლოგიურ მუზეუმს, რომლის ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდა ვანის ტურისტული ცენტრი. მომზადდა ვრცელი მასალა დაგავრცელდა

ყაზახეთის ცენტრალური არხის მიერ, ასევე გავრცელდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებებში.

საინტერესო იყო „ვანის ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით მოწყობილი ინფო-ტური მოგზაურთა კლუბ „მთანი მაღალნთან“ ერთად შემდეგი ტურისტული ლოკაციების პოპულარიზაციისათვის: ყოფილი კურორტი „გადიდი“, ვანის ატიკური ნაქალაქარი და დიხაშხოს გოგირდის გეიზერი. ინტერესი გამოიწვია გადიდის თემამ. იგეგმება მისი თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია.

ტურიზმის ცენტრმა უმასპინძლა ცნობილ ბლოგერს გივიკო დიდიას. ის ესტუმრა გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ- მუზეუმებს. გასტრონომიული ტურის ფარგლებში მას უმასპინძლა ნინო და გოგი ხურციძეებმა.

ცნობილი ფოტო ხელოვანისა და ბლოგერის „მოგზაური მე ზურა გელაშვილის“ ობიექტივში აისახა ვანის ბანლეოლოგიური შესაძლებლობები. განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვა „დიხაშხოს გოგირდის გეიზერმა“. ვანის ტურიზმის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო შოუებსა და გადაცემებში. კერძოდ, იმედი ტვ- დილის შოუ ესტუმრა სოფელ ინაშაურს, post TV- გადაცემაში, ნათია ჩადუნელის სიუჟეტში მაცურებელი გაეცნო მეწარმე ზაურ თათვიძესა და ახალგაზრდა მეღვინეს მათე ლილუაშვილს. „ზადაგონის“ დაფინანსებით გავრცელდ

ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონის განახლებული მუზეუმი, რომელმაც უმასპინძლა ევრო კავშირის ელჩს ბატონ კარლ ჰარცელს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ქალბატონ კელი დეგნანს, იტალიის ელჩს, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, მეცნიერებს, ხელოვანებს და სხვადასხვა პროფესიის ცნობილ ადამიანებს. მიმდინარე წელს გაიმართა გამოფენა - „სიცოცხლე და სიკვდილი- დიდებული პომპეი“. მუზეუმს ივლის-ოქტომბრის თვეებში ესტუმრა 10000-მდე ტურისტი.

ვანს სტუმრობდა წამყვანი მედია საშუალებები, ასევე ესტონეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი, რასაც დადებითი შედეგი მოჰყვა. გავრცელებულია სხვადასხვა საშუალებებით ტურისტული ხასიათის ინფორმაციები და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

შავიზღვის ღვინის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო და ვანი წარადგინა ადგილობრივმა მეღვინემ ლილუაშვილების მარნიდან.

საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა, შესრულებული აქტივობების გათვალისწინებით, განთავსებულია ცენტრის სოციალურ ვებ გვერდზე. გვერდი ორენოვანი და განახლებადია.

ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 60 000 ლარით. ათი თვის მდგომარეობით გახარჯულია 40 623,15 ლარი.

ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანება

საანგარიშო პერიოდში კომუნალურ გაერთიანებას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჰქონდა სუფსიდის სახით 431,9 ათასი ლარი, ხარჯმა შეადგინა 431,9 ათასი ლარი.სამუშაო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კოვიდრეგულაციებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ნარჩენების მართვის ხუთ წლიანი გეგმის მიხედვით ხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები,მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია, ნაწილი კი შესრულების პროცესშია. ამ გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს მოსახლეობისგან დასუფთავების მოსაკრებლის შემოღება, რაც შეუსრულებელია და საჭიროებს ეს პროცესი შესაბამისი სამსახურების ჩარევით დროულ დაწყებას.

მერიის მიერ შეძენილი და შემოტანილი იქნა თანამედროვე ტიპის 100 ურნა,რომლითაც მოხდა მოძველებული, მწყობრიდან გამოსული რკინის ურნების ჩანაცვლება. გაზრდილმა მოცულობითმა სამუშაოებმა შექმნა მომსახურე პერსონალის (მუშები, მეეზოვები) დამატების აუცილებლობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეტაპობრივად იზრდება გარე განათების მოწყობა,რომლის მოვლა-პატრონობისთვის გამოიყენება შესაბამის ტექნიკა, თუმცა ეს ამწე-კალათა მოძველებულია, შესაძენია ახალი,მითუმეტეს, როცა იგი სხვა სამუშაოებისთვისაც გამოიყენება (ხეების შესხვლა). ასევე დამატებით შესაძენია დასუფთავების მანქანა,რაზეც მიღებულია ზომები.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, დღესაც პრობლემად რჩება უნებართვო ნაგავსაყრელების არსებობა,განსაკუთრებით ყურადსაღებია ხიდე-ბოგირების მიმდებარე ტერიტორიები, ხდება მდინარეების დაბინძურება სხვადასხვა სახის ნარჩენებით.

ასევე სათანადო ზომებია გასატარებელი უმეტვალყურეოდ გაშვებული პირუტყვის მოსათავსებლად შესაბამისი ტერიტორიისა და ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის.

სამხედრო

წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვაზე აყვანა , მათი შეიარაღებულ ძალებში გაწვევა ორ ეტაპად მიმდინარეობს გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში აღრიცხვაზე იყო 942 წვევამდელი. საგაზაფხულო გაწვევას დაექვემდებარა 240, გეგმა-გრაფიკით გასაწვევი იყო 28 წვევამდელი. აქედან: შ.ს.ს.-ში გასაწვევი 7 წვევამდელიდან გაწვეული იქნა 4, თავდაცვაში 16-დან10, იუსტიციის სამინისტროში 3-დან 2.

სამხედრო სამსახურში იანვრიდან აპრილის ჩათვლით მიმდინარეობს 17 წლის მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა, რასაც ექვემდებარებოდა 117 მოქალაქე, აღრიცხვაზე კი აყვანილი იქნა 101 მოქალაქე.

საშემოდგომო გაწვევის პერიოდში აღრიცხვაზე იყო 933 წვევამდელი, საშემოდგომო გაწვევას დაექვემდებარა 263, ეს პროცესი ამჯერადაც მიმდინარეობს.

გეგმა-გრაფიკით გაწვევას დაექვემდებარა 21 წვევამდელი. მათ შორის: შ.ს.ს.-ში 9, თავდაცვის სამინისტროში 9, იუსტიციის სამინისტროში 3. ამ პერიოდისათვის თავდაცვის სამინისტროში გაწვეულია 2 წვევამდელი.

აღრიცხვაზე დგას 4417 რეზერვისტი. 4122 რეზერვის სერჟანტი და რიგითია, ოფიცერი 174, კათედრა გავლილი რეზერვისტი 121, გაიცა 39 რეზერვისტის დროებითი მოწმობა, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლდა 22 რეზერვისტი, საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა 9, სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 92 რეზერვისტი. შ.ს.ს.-ში კი 10. სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 139 რეზერვისტი.

შიდა აუდიტი

2021 წელში განსაზღვრული იყო ოთხი აუდიტორიული შემოწმება:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერია- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანება;
3. სოციალური დაცვა;
4. ზოგადი განათლების ხელშეწყობა.

სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაციით, კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების გამო გეგმით გათვალისწინებულ, განსაზღვრულ ვადებში აუდიტორიული შემოწმების დაწყება ვერ მოხერხდა.

ამჯერად იგეგმება ა(ა)იპ კომუნალური გაერთიანების შესაბამისობის აუდიტის განხორციელების ეტაპი .

მიმდინარეობს გეგმით განსაზღვრული ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებისადმი გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ანგარიშზე მუშაობა.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ჰარმონიზაციის ცენტრის კოორდინაციითა და Deutsche gesellschaft fur international Susammenarbeit (GIZ) GmgH-ის მხარდაჭერით განხორციელდა შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება, პროგრამის- „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში“- ფარგლებში.

ხარისხის გარე შეფასებლის მოსაზრებით ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტორიული საქმიანობა ნაწილობრივ შეესაბამება საქართველოს

კანონმდებლობას და IIA ეთიკის კოდექსს და არ შეესაბამება სტანდარტებს. გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლის გამოსასწორებლად შემფასებლის მიერ გაცემულია რეკომენდაციები, რომელთა უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა. თუმცა შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა საჭიროებს მეტ პასუხისმგებლობას, ელექტრონული სერვისების ეფექტურ გამოყენებას, აუდიტორიული შემოწმების სამიზნე ორგანიზაციებთან კომუნიკაციის თანამედროვე ფორმების დანერგვას, შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე სტანდარტებით დადგენილი რეგულაციების დაცვას გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხორციელების პროცესში.